ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 5

ქ.თბილისი 26.08.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში-თავმჯდომარე);
მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი (შემდგომში-მდივანი);
მანანა რატიანი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი;
ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი;
ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ლალი აბაშიძე - შპს სასწავლო ცენტრ მერმისის წარმომადგენელი;
ინგა კვანტალიანია - შპს კვანტის დირექტორი;
არქიმანდრიტი ილია ნასიძე - ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის დირექტორი;
ნაილი თაბაგარი - ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
ხათუნა ავხანიშვილი - ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ბუღალტერი;

ეპისკოპოსი სვიმეონი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის დირექტორი;
ია დანდურიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის საქმეთა მმართველი;
ქ. ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის სასწავლო ნაწილი;
დეკანოზი მათე გორდელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის დირექტორი;
ნინო გოგეშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის დირექტორის მოადგილე;
რუსუდან კვირკველია - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
დეკანოზი ბასილ გოგოტიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სამრევლო სკოლის დირექტორის მოადგილე;
მარინა ტრ. პაიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სამრევლო სკოლის სასწავლო ნაწილი;
მღვდელი პორის ნიჩიპეროვიჩი - ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი;
თინათინ გვერდწითელი - ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
მანანა კაკაურიძე - ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
ლალი მელივა - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის დირექტორი;
ირინე კვანჭიანი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
თამთა ბუჩუკური - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
არქიმანდრიტი სტეფანე კორინთელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისსა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის რექტორი;
ნანა კობახიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისსა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის სასწავლო ნაწილი;
ნინო იმერლიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისსა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის საქმეთა მმართველი;
ალდია არჩვაძე - შპს ეროვნული სკოლა ლიდერის დირექტორი და დამფუძნებელი;
თათია ზარქუა - შპს ეროვნული სკოლა ლიდერის იურისტი;
გიორგი ჩავლეიშვილი - შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის გენერალური დირექტორი;
ირა შარაბიძე - შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი;
თათია ზარქუა - შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის იურისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;
ნელი ნასყიდაშვილი;
ქეთევან ბოტკოველი;
პაატა ჩორგოლაშვილი;
ლევან ღურწკაია;
კახაბერ ჟღენტი;
მიხეილ ტეფნაძე;
ნინო ბალანჩივაძე;
ნინო ფეტვიაშვილი.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 10:50 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აღნიშნული დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რევაზ აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სასწავლო ცენტრ „მერმისში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს „კვანტში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს ეროვნულ სკოლა „ლიდერის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს ამერიკულ - ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორმა, ქეთევან ბაბუნაშვილმა დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წინაშე. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-ცაგერის წმინდა ილია მართლია სახელობის გიმნაზიისაგან ცენტრში შემოსული იყო შუამდგომლობა. დაწესებულება ითხოვდა საკითხის მომდევნო სხდომისათის გადადებას.

საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს სასწავლო ცენტრ „მერმისში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს „კვანტში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს ეროვნულ სკოლა „ლიდერის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს ამერიკულ - ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს სასწავლო ცენტრ მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღნიშნა, რომ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ექსპერტმა ისაუბრა სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ სკოლის მისიასა და სკოლის ვებგვერდზე განთავსებულ მისიებს შორის განსხვავებაზე. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მისიის თანახმად, სკოლის განსხვავებული პრიორიტეტები იყო ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, შესაბამისი ცოდნით და უნარ-ჩვევებით მათი აღჭურვა. აღნიშნული მისია განსხვავდებოდა მეორე დღეს წარმოდგენილი სკოლის მისიისგან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს სკოლის მისიიდან, ამიტომ ვერ დადგინდა სასკოლო სასწავლო გეგმა რომელი მისიიდან გამომდინარეობდა და რა კონკრეტულ ამოცანებს ისახავდა მიზნად.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი - შეფასების პრინციპები და სადამრიგებლო პროგრამა წარმოადგენდა ამონარიდს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტებს მიაწოდა საგნის სილაბუსები, გარდა არჩევითი საგნის „ხაზვისა", რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეებს მე-12 კლასის პირველ სემესტრში უნდა ესწავლათ. ვერ დაფიქსირდა სილაბუსები, რომლითაც გაირკვეოდა თუ რა სპორტის სახეობები ჰქონდა არჩეული სასწავლო ცენტრს. დირექტორის განმარტებით სკოლაში ისწავლებოდა ჭადრაკი, ფარიკაობა და მაგიდის ჩოგბურთი. ფარიკაობა არ შედის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ასარჩევი სპორტის სახეობათა ნუსხაში და არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებიდან ვერ დგინდებოდა სპორტის სახეობები „ჭადრაკი" და „სპორტი დაწყებითი" რომელ კლასებში ისწავლებოდა. წარმოდგენილი ფიზიკის ე.წ. სილაბუსები არასრულყოფილი იყო, კერძოდ, არ ჩანდა ა) რა ცოდნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავდა მიზნად თემების ჩამონათვალი, ბ) სწავლების მეთოდიკა, შეფასების პრინციპები და რესურსები. სასწავლო ცენტრის ყოფილი ფიზიკის მასწავლებლის თქმით არც ერთი ლაბორატორიული სამუშაო არ ჩაუტარებია, რადგან შესაბამისი მატერიალური რესურსი არ გააჩნდა.

1.3. სასწავლო ცენტრს შემუშავებული აქვს ფორმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობების მქონე მოსწავლეებთან, სწავლების განსახორციელებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ზოგადი განათლების შესახებ კანონის I მუხლის უ) და ჩ[2]) პუნქტების

მიხედვით, ინკლუზიური განათლება გულისხმობს სსსმ მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე - პირი, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. რომელიმე მოსწავლესთან განხორციელებული ინდივიდუალური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებას არ წარმოუდგენია, თუმცა სასწავლო ცენტრის დირექციის განმარტებით, სწორედ ამ მიზნით გახადეს სკოლაში სწავლება 6 დღიანი. თუმცა, როგორც ნინო კინწურაშვილთან საუბრისას გაირკვა, ფიზიკის მასწავლებელს მისთვის დამატებითი მეცადინეობები არ დაუნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მას უჭირდა ფიზიკის სწავლა. ამის შესახებ დირექცია არ ფლობდა ინფორმაციას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო შეფასების ზოგადი სისტემა. დაწესებულებამ მხოლოდ ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასების სისტემის გამჭვრივალობის/შეფასების კრიტერიუმები, რომლის მიხედვით თითოეული საგნის მასწავლებელს თავის პორტფოლიოში უნდა ჰქონოდა შეფასების კრიტერიუმები, თუმცა საგნის ე.წ. სილაბუსებში შეფასების პრინციპები ან საერთოდ არ იყო ასახული, მაგ. ფიზიკის სილაბუსი, ან შეფასების გრაფის გასწვრივ ეწერა მხოლოდ შემდეგი სიტყვები: განმსაზღვრელი, განმავითარებელი. ერთადერთ საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელს სილაბუსში ჰქონდა მოსწავლის შეფასების სხვადასხვა რუბრიკები.

დაწყებით კლასებში შეფასება 5 დონიანი იყო, ზოგიერთ საგანში მოსწავლე ფასდებოდა ქულებით, რასაც ადასტურებდა მე-4 კლასის მოსწავლეთა ნამუშევრები მათემატიკაში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით 5 დონის მიხედვით, ამდენად, ზემოთ აღნიშნული შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ამიტომ საკლასო ოთახებში გაკრული შეფასების კრიტერიუმების ნახვა ვერ მოხერხდა. სასწავლო ცენტრის ყოფილი მოსწავლის თქმით, მისი შეფასების კრიტერიუმებს არც ერთ საგანში არ იცნობდა. სკოლაში დარღვეული იყო ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა. საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშში 1.4-ის დადასტურებაში, სასწავლო ცენტრს უწერია ხარისხის მართვის მენეჯერის პორტფოლიო, რომელიც არ იქნა წარმოდგენილი.

1.5. სკოლის წესდებასა და შინაგანაწესში შემუშავებული იყო მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილი იყო სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. სკოლის ვებგვერდზე ასევე განთავსებული იყო ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს და მის მშობელს შეეძლოთ საკუთარი საიდენტიფიკაციო კოდის მეშვეობით მიეღოთ ინფორმაცია. თუმცა ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ამსახველი/დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული იყო მშობლის, მოსწავლეთა და თემის ერთჯერადი გამოკითხვა. არ ჩანდა თარიღები, მიზანი, ჩატარების ორგანიზატორი, მიღებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა ნინო

კინწურაშვილის კლასის დამრიგებლის საქაღალდე (2012-2013 სასწ. წლის), რომელშიც აღწერილი იყო სადამრიგებლო საათზე განხილული სააღმზრდელო თემების ჩამონათვალი და მშობელთა კრებების 5 ოქმი. ამასთან, კინწურაშვილის ბებიის განცხადებით, მშობელთა კრება არც ერთხელ არ ჩატარებულა. სკოლის დირექტორის განმარტებით კი მშობელთა კრებები ტარდებოდა.

1.6. სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო შეფასების სისტემა (დებულება) რომლის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: „სასკოლო შეფასების ამოცანებია: იმ სირთულეებისა და პრობლემების გამომზეურება, რომლებიც ხელს უშლიან დაგეგმილი შედეგების მიღწევას", გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა თვითშეფასებები, თუმცა არც ერთი საგნის სწავლების გეგმაში ამის შესახებ დოკუმენტაცია არ მოიპოვებოდა გარდა ბიოლოგიის მასწავლების საქაღალდისა. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებაზე და შემდგომ გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელი იყო სასწავლო ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, თუმცა მის მიერ გაწეული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას ჰქონდა 14 საკლასო ოთახი, ისინი აღჭურვილი იყო შესაბამის რაოდენობის დაფებით, 130 ერთადგილიანი და 41 ორადგილიანი მერხით და 191 სკამით. დარღვეული იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 6 სექტენბრის 228 გადაწყვეტილების მოთხოვნა 150 მოსწავლის ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით. სკოლას ასევე ჰქონდა ბიბლიოთეკა რომელიც აღჭურვილი იყო 2425 წიგნით, მათ შორის, სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოები, ფიქსირდებოდა ყველა კლასის სახელმძღვანელოთა რამოდენიმე კომპლექტი, თუმცა წიგნები სრულად არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. ვიზიტის დროს სკოლამ დაიწყო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, თუმცა ბეჭდის დაზიანების გამო მოხერხდა მხოლოდ 80% დამუშავება. სკოლას არ ჰყავდა ექიმი ან მედდა, არსებობდა კარადა დირექტორის კაბინეტში პირველადი დახმარების აღმოჩენის სამედიცინო საშუალებებით. ასევე დირექტორის განმარტებით სკოლის მიმდებარედ არსებობდა კლინიკა ბომონდი რომელსაც მიმართვადნენ საჭიროების შემთხვევაში.

3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

3.1 ვერ მოხერხდა ორი მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება. ექსპერტმა ისაუბრა დირექტორზე, რომელიც ასწავლიდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და სამოქალაქო განათლებას, თუმცა არ უდასტურდებოდა სწავლების უფლების შესაბამისი დოკუმენტაცია. საბჭოს სხდომაზე დირექტორმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელს გადააბარა ისტ-ის სწავლება, რაც შეეხება სამოქალაქო განათლებას, დირექტორს ჰქონდა ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაცია და შესაბამისად ჰქონდა უფლება ესწავლებინა სამოქალაქო განათლება მოსწავლეებისათვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შედგა ინტერვიუ ნინო კინწურაშვილთან სადაც მან, შეკითხვაზე თუ რა სახით დაირღვა მისი უფლებები, განაცხადა რომ როდესაც ჩააბარა ფიზიკის გამოცდა (იგულისხმებოდა სკოლის გამოსაშვები გამოცდა) სკოლის დირექტორმა გამოიძახა პატრული და ყველას თანდასწრებით მიაყენა მას სიტყვიერი შეუაცხყოფა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა რომ მას შემდეგ რაც ნინო კინწურაშვილმა ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი ქულა ფიზიკაში, მისმა ბებიამ ამაში დაადანაშაულა სკოლა და იმუქრებოდა სკოლის მიმსამართით. მან სიტუაციის განმუხტვის მიზნით გამოიზახა პატრული. ნინო კინწურაშვილს განცხადებაში მითითებული ჰქონდა რომ დირექტორი მას ყოველდღე აყენებდა შეურაცხყოფას და ემუქრებოდა ხოლო ადგილზე ინტერვიუს დროს მან განაცხადა რომ აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა მხოლოდ გამოცდის დღეს. ასევე სკოლის დირექტორის და მასწავლებლების მიერ არ დაფიქსირდა ფიზიკის გაკვეთილების სისტემატურად ჩაშლის ფაქტი რომელზეც მიუთითებდა კინწურაშვილი.

მონიტორინგის დასკვნის საბოლოო შეფასებით სასწავლო ცენტრის ყოფილ მოსწავლეს ნინო კინწურაშვილს მცდარი წარმოდგენა ჰქონდა შეფასების და გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული ე.წ. კატის გამოცდების ორგანიზაციული პროცედურების შესახებ, კერძოდ მას ეგონა რომ სკოლის დირექტორი მას ყოველთვის შეგნებულად აგზავნიდა იმ კომპიუტერთან რომელიც ჭრიდა მოსწავლეებს (ამდენად იგი იჩაგრებოდა), ამიტომ ვერ იღებდა დამაკმაყოფილებელ ქულას ფიზიკის გამოცდაში და არ ეძლეოდა სკოლის დამთავრების და ატესტატის აღების საშუალება. შესაბამისად, ირღვეოდა მისი უფლებები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა რომ ნინო კინწურაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ სკოლას არ გააჩნდა ფიზიკის ლაბორატორია, არ შეესაბამებოდა სიმართლეს და თავად მონიტორინგის ჯგუფს ჰქონდა დოკუმენტაცია რომლის მიხედვითაც დასტურდებოდა ლაბორატორიის არსებობა.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 11:25 წუთზე.
საბჭო განახლდა 11:33 წუთზე.

დასკვნის წარდგენის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს სასწავლო ცენტრ მერმისისათვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

საბჭოს გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა:მანანა რატიანმა და ლაშა მკურნალიძემ.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სასწავლო ცენტრ მერმისის (საიდენტიფიკაციო კოდი:212702912) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს კვანტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ხომ არ ჰქონდა აცილება საბჭოს წევრების მიმართ. წარმომადგენელმა დაადასტურა რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეს იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა რომ მონიტორინგის განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან 2015 წლის 14 აპრილს შემოსული წერილი (რეგისრტაციის №279795), რომელშიც მოცემული იყო ინფორმაცია შპს კვანტის დირექტორის მიერ მოსწავლეთა: მარიამ ჩაგუნავას, მარი ფერაძის, ლანა ბაღდავაძის, გიორგი ბაღდავაძის და დავით ხარძეიშვილის პირველ კლასში რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ჩარიცხვისა და მათგან ორი მოსწავლის გიორგი ბაღდავაძის და დავით ხარძეიშვილის ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული ასაკობრივი ზღვარის (6 წელი) შესაძლო დარღვევების თაობაზე.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს, შპს კვანტის სკოლის დირექტორმა წერილობით განმარტა, რომ 2013-2014 სასწავლო წლის მეორე ნახევარში, კონკრეტულად კი მარტისა და აპრილის თვეში, სკოლაში შიქმნა მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც სხვებთან ერთად ჩარიცხული იყვნენ ზემოხსენებული ხუთი მოსწავლიდან სამი: ლანა და გიორგი ბაღდავაძეები და დავით ხარძეიშვილი. ამის შემდგომ, დირექტორის განმარტებით მას შემდეგ რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული პირველკლასელთა რეგისტრაცია დასრულდა, სკოლას მოაკითხა მარიამ ჩაგუნავას და მარი ფერაძის მშობლებმა და ითხოვეს ბავშვების პირველ კლასში ჩარიცხვა. დირექტორმა განაცხადა რომ გაითვალისწინა მათი შეჭირვებული მდგომარეობა და გადაწყვიტა მათთან ერთად პირველ კლასში ჩაერიცხა თავისივე სკოლის მოსამზადებელი განყოფილებიდან სამი მოსწავლე, რომელთა მშობლებს ასევე სურვილი ჰქონდათ რომ მათ შვილებს ესწავლათ აღნიშნულ სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 20 დეკემბერს დირექტორის 87 ბრძანებით სკოლაში შეიქმნა კომისია რომელმაც გადაამოწმა პირობითად ჩარიცხული მოსწავლეების დონე, რის შემდგომაც კომისიამ დადებითი შეფასება მისცა მათ, თუმცა ამის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტაცია ვიზიტის დროს ვერ იქნა მოძიებული. კომისიის განხორციელების შემდგომ, დირექტორმა წერილით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რათა გაეწიათ რეკომენდაცია და აღნიშნული მოსწავლეები სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ბაზაში დაერეგისტრირებინათ, რაც ასევე მისცემდა მათ საშუალებას მიეღოთ ვაუჩერი.

მოსწავლეთა (დავით ხარძეიშვილი და გიორგი ბაღდავაძე) ჩარიცხვის ვადების დარღვევასთან დაკავშირებით, დირექტორის განმარტებით, მან იხელმძღვანელა ზოგადი განათლების შესახებ კანონის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების მუხლი 63^3 -ით,

რომლის მიხედვითაც: 2014-2015 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწების უფლება აქვთნ აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც 2015 წლის 1 იანვრამდე შეუსრულდათ 6 წელი ან რომლებიც 2013-2014 სასწავლო წელს სწავლობდნენ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სწავლების მოსამზადებელ კლასში/განყოფილებაზე და 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებამდე მათი ასაკი 5 წელს აღემატება. გარდა ამისა, დირექტორის ამგვარ პოზიციას ამყარებდა ის გარემოებაც, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვის ბრძანებებში მხოლოდ დავით ხარძეიშვილისა და გიორგი ბაღდავაძის ბრძანებებში იყო ხაზგასმული, რომ ჩაირიცხნენ მოსამზადებელი ჯგუფიდან.

მონიტორინგის ჯგუფი დაინტერესდა მოსამზადებელი/ჯგუფის სასწავლო გეგმით, სასწავლო პროგრამებით, მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და სხვა დოკუმენტაციით, რომლითაც დადასტურდებოდა სკოლაში არსებული მოსამზადებელი განყოფილების არსებობა, თუმცა ასეთი სახის დოკუმენტაცია ვერ მოიძებნა. დირექტორმა მოსამზადებელი ჯგუფის არსებობის დასტურად წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, მოხდა გასაუბრება მასწავლებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს მოსამზადებელი ჯგუფის არსებობა, ისაუბრეს სწავლის მეთოდებზე და რესურსებზე, მიღწეულ შედეგებზე და დაადასტურეს რომ ბავშვებს გაუწიეს რეკომენდაცია პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ. ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოთხოვილი მოსწავლეების პირადი საქმეებისაიდანაც გამოირკვა რომ ყველას წარმატებით ჰქონდა დაძლეული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პირველი კლასის მიღწევების დონე.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, მოსწავლეებს გავლილი ჰქონდათ ერთი სემესტრი ისე, რომ არ იყვნენ დარეგისტრირებული ბაზაში, თავად სკოლის დირექტორი მონიტორინგის ჯგუფისადმი მიწერილ განცხადებით იღებდა პასუხისმგებლობას იმის თაობაზე რომ კანონის დარღვევით მოახდინა მოსწავლეთა ჩარიცხვა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი ბავშვი ჰყავდა სკოლას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხად რომ კონტინგენტი განსაზღვრული იყო 300 მოსწავლის ოდენობით და მოცემული პერიოდისათვის სკოლას ჰყავდა 211 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ, მოცემული საკითხი არ იყო ავტორიზაციის შეჩერების საფუძველი და საბჭოს განსახილველი საგანი. თუ მოხდებოდა აღნიშნული ფაქტის მოკვლევა და დასაბუთდებოდა კანონდარღვევა ამ საკითხის გადაწყვეტა იქნებოდა სასამართლოს პრეროგატივა. უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მშობლები ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი იმის თაობაზე, რომ მათ შვილებს არ ჰქონდათ მოსწავლის სტატუსი, შესაბამისად ვერ ისარგებლებდნენ მობილობით და ნებისმიერ დროს შეეძლოთ სამოქალაქო დავა ეწარმოებინათ სკოლასთან სასწავლო წლის დაკარგვის გამო. თავად ავტორიზაციის გაუქმება აღნიშნული სკოლისათვის არ გადაწყვეტდა მოსწავლეების საკითხს.

საბჭოს წევრების მხრიდან გამოთქმულ იქნა მოსაზრება რეკომენდაციის სახით მომხდარიყო მშობლების და სამინისტროს ინფორმირებულობა მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კვანტის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კვანტში (საიდენტიფიკაციო კოდი:424070481) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, რომელმაც აღნიშნა - ვიზიტის მიმდინარეობისას დაფიქსირდა ერთი ხარვეზი მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, კერძოდ: სკოლის თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი ფართის საერთო რაოდენობა შეადგენდა 821.51 კვ.მ რომელიც ემთხვეოდა რეესტრის 2011 წლის ამონაწერს თუმცა თვითშეფასებაში ჩამოთვლილი ცალკეული ფართების რაოდენობა, კოტეჯური ტიპის შენობები (281,14; 154,20; 222,22; 161,95 კვ.მ) არ იყო დაფიქსირებული რეესტრის ამონაწერში ასევე სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას ჰქონდა მიშენებული 2 სასწავლო ოთახი საერთო ფართით 62კვ.მ. ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ფართები არ იყო რეგისტრირებული რეესტრში.

2015-16 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად, სკოლას სპორტის სახეობებად მეშვიდე კლასიდან არჩეული ჰქონდა კალათბურთი, ფრენბურთი და ფეხბურთი. სკოლის ეზოში მოწყობილი იყო ფეხბურთის მოედანი. სკოლა სარგებლობდა აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნით, რომლის სარგებლობაზეც 9.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე სკოლას ჰქონდა აღებული ნებართვა ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან. ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა გადახურული სპორტული დარბაზი ექსპერტმა მიიჩნია რომ ზამთრის პერიოდში გართულდებოდა სპორტული გაკვეთილების ჩატარება.

გიმნაზიის დირექტორმა განმარტა, რომ მოხდა საჯარო რეესტრის ამონაწერის კორექტირება და მითითებული ფართები ასახული იყო ახალ ვარიანტში, ხოლო რაც შეეხებოდა სპორტულ გაკვეთილებს, ზამთრის პერიოდში სკოლამ გააფორმა მემორანდუმი მცხეთაში არსებულ სპორტულ სკოლასთან, რაც აღმოფხვრიდა ზამთრის პერიოდში სპორტული გაკვეთილების ჩატარების შეფერხების პრობლემას და სკოლის მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტით მოხდებოდა მოსწავლეთა გადაყვანა.

ექსპერტის განცხადებით სხვა ხარვეზი ვიზიტის მიმდინარეობის დროს არ დაფიქსირებულა. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე დააყენა ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ საშუალო სკოლას (საიტენდიფიკაციო კოდი:236098209) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 200-ით.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღნიშნა დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი სახის გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების პრონციპები მოიცავდა გიმნაზიაში დანერგილ შეფასების მიდგომებს, საფეხურის დაძლევის და კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალური ბარიერის განსაზღვრას დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები 1-3 კლასებში ფასდებოდნენ ნიშნებით და ამ ნიშნების დაწერის სპეციალური სქემით: ჩათვლა, წარმატებით ჩათვლა და წარჩინებული ჩათვლა. როგორც საკლასო ოთახების დათვალიერებისას მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ჩანდა, მასწავლებლები 1-4 კლასებში მოსწავლეების ნამუშევრებს აფასებდნენ ქულებით. სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგებოდა მას. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელემა ვიზიტის პერიოდში მიიღეს გადაწყვეტილება დაწყებით საფეხურზე შეფასების მიდგომების ცვლილებასა და გადახედვასთან დაკავშირებით.

2. მატერიალურ რესურებსთან მიმართებით:

2.1 სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა. ერთ-ერთ საკლასო ოთახში კარადაში იყო განთავსებული ქიმიური რეაქტივები, მიკროსკოპი და სხვ. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით როგორც ვიზიტის პერიოდში გამოირკვა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა გეგმავდა სკოლისათვის ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენას, რაც დასტურდებოდა შესაბამისი წერილით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ იღებდა მუნიციპალიტეტი ვალდებულებას კერძო სკოლის ლაბორატორიის დაფინანსების თაობაზე, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის დამფუძნებელი გახლდათ საპატრიარქო და მას ჰქონდა წერილობითი შეთანხმება ხაშურის მუნიციპალიტეტთან.

საბჭოს წევრი დაინტერესდა რატომ ჰქონდა სკოლას დამატებით პანსიონის სახელწოდება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო რომ მიუხედავად არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურისა მოსწავლეებმა არ გამოთქვეს სურვილი, ეცხოვრათ სკოლაში. მან მოითხოვა მოსწავლეთა კონტიგენტის განსაზღვრა 360-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 360-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონს (ს/კ:443854189) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 360-ით.

5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა კახაბერ ჟღენტმა და ლევან ღურწკაიამ. ჯგუფის თავმჯდომარემ, კახაბერ ჟღენტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კუთხით, სკოლას ხარვეზი არ ჰქონდა. მისი განცხადებით, სკოლაში შექმნილი იყო გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს ყველა მოსწავლისათვის, შემუშავებული იყო სსსმ-თვის სკოლის ხედვა (ინკლუზიური განათლების პროგრამა). თუმცა სკოლის საპირფარეშო არ იყო ადაპტირებული სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე.

მატერიალურ რესურსებთან მიმართებით ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ლაბორატორიაზე. ლაბორატორიის აღჭურვილობა ძირითადად შეესაბამებოდა სტანდარტებს, მაგრამ საჭირო იყო მისი ბოლომდე შევსება. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, შენობა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ლაბორატორიისთვის გამოეყოთ ცალკე ოთახი და გადაეკეთებინათ შესაბამისად პრაქტიკული სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. საბჭოს წევრი, ნატო ქობულაძე დაინტერესდა სკოლაში ინკლუზიური განათლების სტანდარტებთან შესაბამისობით. ექსპერტმა ახსენა არასამთავრობო ორგანიზაცია - ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი - რომელთანაც სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა ინკლუზიური განათლების განვითარების სფეროში, რაც ერთგვარი გარანტია იყო სკოლისთვის ამ მიმართულებით გაუმჯობესების მხრივ.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლები შერჩეულები იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეულ მათგანს ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია და სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისათვის საჭირო პროფესიული გამოცდილება. 29 მასწავლებლი იყო მაგისტრის ხარისხით, 3 ბაკალავრის, 5 მასწავლებელი გასულია საგნობრივ გამოცდაზე, 13 მასწავლებელი იყო სერტიფიცირებული. ელენე სარიშვლის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელი) და სოფიკო ღლონტს (ცეკვის მასწავლებელი, წრის ხელმძღვანელი) არ აღმოაჩნდათ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. თანამშრომელთა პირად საქმეებში ინახებოდა მათ მიერ ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

დასკვნის წარდგენის დასრულების შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის რესურსი იძლეოდა 240 მოსწავლის მიღების საშუალებას და შესაბამისად

მოითხოვა მოსწავლეთა კონტინგენტის 240-ით განსაზღვრა. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 237113075) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 240-ით.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ლევან ღურწკაიამ და კახაბერ ჟღენტმა. ლევან ღურწკაიამ აღნიშნა, რომ დასკვნაში არსებითი ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გარდა ადამიანურ რესურსების ნაწილისა, სადაც ხელოვნების მასწავლებელს პირადი საქმის საფუძველზე არ უდასტურდებოდა პედაგოგის კვალიფიკაცია. საბჭოს წევრის - მაია მაღლაკელიძის განცხადებით, რადგან აღნიშნულ პედაგოგს უდასტურდებოდა სამხატვრო აკადემიაში მიღებული ხარისხი, დამატებით პედაგოგიური განათლება ამ შემთხვევაში საჭირო არ იყო.

დასკვნის წარდგენის დასრულების შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის რესურსი იძლეოდა 400 მოსწავლის მიღების საშუალებას და შესაბამისად მოითხოვა მოსწავლეთა კონტინგენტის 400-ით განსაზღვრა. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 237113084) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 400-ით.

7. ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ნელი ნასყიდაშვილმა და პაატა ჩორგოლაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწყებითი კლასების მასწავლებლების საქაღალდეების დათვალიერების და მათთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ ისინი ახდენდნენ მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებას I-IV კლასებში ქულებით. მასწავლებლის მიერ არ იყო გამოყენებული განმავითარებელი შეფასება დაწყებით საფეხურზე, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით. IV კლასში ტარდებოდა გამოცდა, რომელზედაც შეფასება კეთდებოდა ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა პრინციპით. IV კლასელებისთვის ჩათვლა იყო უნიშნო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ოფიციალური შეფასება მასწავლებლის მიერ არ კეთდებოდა, ეს მხოლოდ მასწავლებლების მიერ მათთვის ჩანიშნული შეფასებები იყო, რაც ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა. დაწესებულებამ განმარტა, რომ ამ ხარვეზს მომავალში გამოასწორებენ. საბჭოს წევრმა მანანა რატიანმა ხაზი გაუსვა განმავითარებელი შეფასების როლს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოსწორებულიყო დაწესებულების მხრიდან.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 გიმნაზიას ჩუქების ხელშეკრულებით გადმოცემული ჰქონდა სპორტული ინვენტარი, რომლებიც განთავსებული იყო პირველი სასწავლო კორპუსის მესამე სართულზე დამხმარე ოთახ-სათავსოში, ჩოგბურთის მაგიდა კი დარაჯის ოთახში. გიმნაზიის განაშენიანების N4 კორპუსში - ფართით 289.42 კვ.მ, განკუთვნილი სპორტული დარბაზისათვის, ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ლიცეუმის ტერიტორიაზე არსებულ შენობათა პირველ სართულზე შესასვლელად და მეორე სართულზე ასასვლელად დამონტაჟებული იყო პანდუსები. თუმცა გიმნაზიის ბიბლიოთეკა განთავსებული იყო პირველ სასწავლო კორპუსში მესამე სართულზე, რომელზედაც

პანდუსით ასვლა შეუძლებელი იყო. პირველ კორპუსში ასევე არ არსებობდა ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო მეორე კორპუსში ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებული იყო მეორე სართულზე.

2.2 გიმნაზიას არ ჰქონდა სამედიცინო პუნქტი და არ ჰყავდა სამედიცინო კადრი პირველადი სამედიცინო მომსახურებისათვის. მედიკამენტები განთავსებული იყო სამასწავლებლოში.

2.3 გიმნაზიის შინაგანაწესში იკითხებოდა შემდეგი სახის ინფორმაცია: გიმნაზიაში შეიძლება ჩაირიცხოს აღსაზრდელი, რომელიც არის მართმადიდებელი ქრისტიანი.

აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, სკოლაში სხვა აღმსარებლობის აღსაზრდელების მიღებაც დასაშვები იყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარე რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მოსწავლეებისათვის სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობენ, სახელმწიფო უზრუნველყოფდა მოსწავლის დაფინანსებას განურჩევლად აღმსარებლობისა. დაწესებულების განმარტებით, ეს მოთხოვნა მხოლოდ მოთხოვნების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა და თუ სხვა აღმსარებლობის მოსწავლეს გაცნობიერებული ჰქონდა, თუ რატომ უნდოდა ამ სკოლაში სწავლა, მას დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ.

საბჭოს წევრის, ლაშა მკურნალიძის განმარტებით, სკოლის მხრიდან ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას. მისი თქმით, განათლების მიღების უფლება ჰქონდა ნებისმიერ ადამიანს. საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ იკითხა, თუ რას გულისხმობდა დაწესებულება ცუდში ან არადამაკმაყოფილებელ ქცევაში, რადგან დასკვნის თანახმად, შინაგანაწესის მე-8 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, მოსწავლე გიმნაზიიდან შეიძლებოდა გარიცხულიყო, თუ ყოფაქცევაში (ზნეობაში) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეფასდებოდა არადამაკმაყოფილებლად. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ ასეთი შემთხვევა ჯერ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა ჰკითხა, თუ როგორ მუშაობდნენ რთული ქცევის მქონე ბავშვებთან. დაწესებულების წარმოამდგენლის განმარტებით, ისინი ამ შემთხვევაში მიმართავდნენ მოძღვრებს, რომლებიც ასრულებდნენ ფსიქოლოგის როლს მოსწავლეებისათის.

დასკვნის წარდგენის დასრულების შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის რესურსი იძლეოდა 497 მოსწავლის მიღების საშუალებას და შესაბამისად მოითხოვა მოსწავლეთა კონტინგენტის 497-ით განსაზღვრა. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმაც. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ექსპერტთა ყველა შენიშვნა უკვე გათვალისწინებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ -ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 497-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: მაია მაღლაკელიძემ და ნატო ქობულაძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ- ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 218082848) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 497-ით.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 13:05 საათზე.
საბჭო განახლდა 13:26 საათზე.

8. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ბალანჩივაძემ. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საკლასო ოთახების განლაგებაზე. რამოდენიმე საკლასო ოთახი სკოლაში გამჭოლი იყო, აღნიშნულის დამადასტურებელი გეგმა წარმოდგენილი ჰქონდათ ექსპერტებს დანართში. ასევე სკოლის ცეკვის მასწავლებელს არ გააჩნდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენლებმა დასტურად მოიტანეს ახალი ცეკვის მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადი საქმის მონაცემები.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, როდის ჰქონდა დაწესებულებას ავტორიზაცია გავლილი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქმიანობას ახორციელებდნენ 2010 წლიდან როგორც ლიცენზირებული საგანმნათლებლო დაწესებულება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი:204571588) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 300-ით.

9. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტების ჯგუფმა ნელი ნასყიდაშვილის და მიხეილ ტეფნაძის შემადგენლობით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნელი ნასყიდაშვილმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა: 1 ცალი მიკროსკოპი, 1 ცალი მინის კოლბა, რამდენიმე ცალი მინის სინჯარა, მინის მილი, ელექტრომეტრი და შტატივი განთავსებული იყო სამასწავლებლოში. გიმნაზიას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი შპს. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან", რომლის მიხედვით უნივერსიტეტი იღებდა ვალდებულებას უზრუნველეყო მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე, გიმნაზიის აღჭურვა ქიმია-ბიოლოგიური ლაბორატორიით.

1.2 გიმნაზიას არ ჰქონდა ცალკე გამოყოფილი ოთახი ბიბლიოთეკისათვის. წიგნადი ფონდის ნაწილი ინახებოდა გიმნაზიის რექტორის საცხოვრებელ კორპუსში, მის პირად ბიბლიოთეკაში, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა მათი გამოყენება. შენობის შედარებით ძველი ნაწილი (2010 წლამდე შეძენილი წიგნები) ინახებოდა ბიბლიოთეკარის სახლში, რომელიც ასევე საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა გამოეყენებინათ სკოლის მოსწავლეებს. სასკოლო სახელმძღვანელოები კი განთავსებული იყო მეორე სართულზე წიგნსაცავ ოთახში (ნაწილი იატაკზე, ნაწილი ყუთებში). დამხმარე წიგნების ნაწილი განთავსებული იყო საქმის მწარმოებლისა და ბუღალტრის ოთახში, მეორე სართულზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგეგმებოდა ბიბლიოთეკისათვის შესაბამისი სივრცის გამოყოფა უახლოეს მომავალში.

1.3 გიმნაზიას არ ჰქონდა სასწავლო კორპუსში შესასვლელი პანდუსი. პირველი სართულიდან მეორე და მესამე სართულზე ასასვლელი ხის პანდუსები იყო იატაკზე დალაგებული ვიზიტიდ დროს. დაწესებულებას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. დაწესებულების განმარტებით, პანდუსების არქონის მიზეზი იყო ის, რომ სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლეები, მაგრამ მომავალში მათ დამონტაჟებას გეგმავდნენ.

1.4 დაწესებულებას არ ჰქონდა ვებგვერდი. გიმნაზიას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სილქნეტთან. გიმნაზიამ წარმოადგინა დომეინისა და ჰოსტინგის გადახდის ინგლისურენოვანი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ვებგვერდის მისამართი იქნებოდა

madliani.com. დომეინისა და ჰოსტინგის მფლობელი იყო გიორგი კორინთელი, დომეინის მოქმედების ვადაა 5 წელი.

დასკვნის წარდგენის დასრულების შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის რესურსი იძლეოდა 300 მოსწავლის მიღების საშუალებას და შესაბამისად მოითხოვა მოსწავლეთა კონტინგენტის 300-ით განსაზღვრა. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ-ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 243914617) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 300-ით.

10. შპს ეროვნული სკოლა ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. მან ისაუბრა სკოლაში მერხების რაოდენობის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა 200 ინდივიდუალური მერხი, თუმცა შენობის ფართი იძლეოდა მხოლოდ 150 მერხის გამოყენების საშუალებას. მან ასევე დაამატა, რომ დასკვნაში არსებითი ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტის პოზიციას და სურდა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა 150-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ეროვნული სკოლა ლიდერის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ეროვნულ სკოლა ლიდერს (საიდენტიფიკაციო კოდი:406029916) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 150-ით.

11. შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა რაიმე სახის ხარვეზი ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. საგანმანათლებლო პროგრამების კუთხით, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად დაწესებულებას ჰქონდა დამატებით სავალდებულო საგნები: English and History, რომელიც ისწავლებოდა V-VI კლასში, კვირაში 1 საათი; Practical English (ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენება), რომელიც ისწავლებოდა III-IV კლასებში, კვირაში 2 საათი; ცხოვრებისეული უნარები - მოსწავლეებში კომუნიკაციის, ჯგუფებში მუშაობის, გადაწყვეტილებების მიღების, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების გამომუშავების მიზნით და ფსიქოლოგის საათი- რომელიც ჩატარდებოდა I კლასში, კვირაში ერთი საათი.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა იყო თუ არა შენობა, სადაც შპს ამერიკულ-ქართული სასწავლო ცენტრი უნდა განთავსებულიყო დაწესებულების საკუთრება. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ ეს შენობა იჯარით ჰქონდათ აღებული.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა სკოლაში სპორტის სწავლებით. ექსპერტების განმარტებით, დაწესებულებას დაწყებით საფეხურზე ჰქონდა სპორტის გაკვეთილი, ხოლო შემდგომ საფეხურზე შეთავაზებული სხვადასხვა სპორტის სახეობები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის რესურსი იძლეოდა 72 მოსწავლის მიღების საშუალებას და შესაბამისად მოითხოვა მოსწავლეთა კონტინგენტის 72-ით განსაზღვრა. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 72-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404856875) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 72-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭო დახურულად გამოცხადდა 14:12 საათზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე